საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

# ბრძანება № 904/ი

27 09 2019 წ.

ქ. თბილისი

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2019 წლის 27 სექტემბრის №1281263 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა ეთიკის კოდექსი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე ბაღიშვილი

*დანართი*

# პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა ეთიკის კოდექსი

## პრეამბულა

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა ეთიკის კოდექსის (შემდგომში - ეთიკის კოდექსი) გაზიარებით, თითოეული პირი იღებს პასუხისმგებლობას, ფორმალური განათლების ფარგლებში, ხელი შეუწყოს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ხარისხის განვითარებას და განამტკიცოს საზოგადოების ნდობა ამ ტიპის პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმისადმი.

ეთიკის კოდექსი ეფუძნება საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ღირებულებათა სისტემას. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა საქმიანობის სტანდარტებისა და ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრებასა და მათ მიერ საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებას.

## მუხლი 1. კეთილსინდისიერება

ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია დაიცვას კეთილსინდისიერების პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ:

1. ექსპერტი ნებისმიერ სიტუაციაში უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს საკუთარ და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეპუტაციას;
2. ექსპერტი სამსახურებრივი საქმიანობისას უნდა ხელმძღვანელობდეს ეთიკური ნორმებით;
3. ექსპერტი უნდა იყოს კონსტრუქციული და შედეგზე ორიენტირებული;
4. ექსპერტი ეფექტიანად უნდა იყენებდეს სამუშაო დროს, ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და სხვა რესურსებს;
5. ექსპერტი არ უნდა იყენებდეს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიას პირადი მიზნებისთვის;
6. ექსპერტმა უნდა მიაწოდოს ცენტრს ინფორმაცია ყველა იმ დაწესებულების შესახებ, რომელთანაც აქვს საქმიანი ურთიერთობა.

## მუხლი 2. ობიექტურობა/მიუკერძოებლობა

ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია იყოს ობიექტური/მიუკერძოებელი, რაც გულისხმობს, რომ:

1. ექსპერტი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარი განწყობებისა და შეხედულებებისაგან;
2. ექსპერტი უნდა ინარჩუნებდეს ნეიტრალურობას ნებისმიერ სიტუაციაში და არ ექცეოდეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად.
3. ექსპერტმა არ უნდა მიიღოს საჩუქარი ან სხვა ნებისმიერი სარგებელი დაწესებულებისგან ან სხვა ნებისმიერი იმ პირისგან, რომელიც ჩართულია პროცესში.

მუხლი 3. კოლეგიალობა
ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმოს, რომ:
1. საჯაროდ/ფორმალურ გარემოში ექსპერტის აზრის გამოხატულება არ უნდა იყოს მიმართული მისი კოლეგების, ცენტრისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს დისკრედიტაციისაკენ. კონსტრუქციული და განმავითარებელი კრიტიკა არ ჩაითვლება მადისკრედიტებელ ქმედებად.
2. ექსპერტი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოჩენას.

მუხლი 4. თვითგანვითარება
ექსპერტი ვალდებულია მუდმივად ზრუნავდეს თვითგანვითარებაზე, რაც გულისხმობს, რომ:
1. ექსპერტი უნდა გამოხატავდეს მუდმივ მზაობას, იყოს ჩართული პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში;
2. ექსპერტი უნდა ეცნობოდეს შესაბამის სფეროში მიმდინარე სიახლეებს.

მუხლი 5. კონფიდენციალურობა
ექსპერტი ვალდებულია არ გაასაჯაროვოს ან/და პირადი ინტერესისთვის არ გამოიყენოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია ან/და შესაბამისი დოკუმენტები.

მუხლი 6. ეთიკის კოდექსის დარღვევის შედეგები
ექსპერტის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევა წარმოადგენს ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით" გათვალისწინებული წარმოების დაწყების საფუძველს.